

ს. ჯიქია

ევლია ჩელები ლაზებისა და ლაზურის შესახებ

თურქი ასიმილატორები საუკუნეების განმავლობაში ცდილობდნენ ენობრივადაც გაეთურქებინათ მათ მიერ დაპყრობილ მიწა-წყალზე მობინადრე ქართველი ტომები, კერძოდ ლაზები, აჭარლები და სხვ. ამხანაგი სტალინი თავის გენიალურ წინაშრომში „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ გვასწავლის, რომ „ისტორია გვიჩვენებს, რომ ენა დიდ გამძლეობას იჩენს და კოლოსალურ წინააღმდეგობას უწევს ძალით ასიმილაციას... ენის გამძლეობა აიხსნება ძისი გრამატიკული წყობისა და ძირითადი ლექსიკური ფონდის გამძლეობით. თურქი ასიმილატორები ასეული წლების მანძილზე ცდილობდნენ დაემახინჯებინათ, დაერღვიათ და მოესპოთ ბალკანელი ხალხების ენები. ამ ხნის განმავლობაში ბალკანური ენების ლექსიკურმა შემადგენლობამ სერიოზული ცვლილებანი განიცადა, შეთვისებულ იქნა საკმაოდ ბევრი თურქული სიტყვა და გამოთქმა, იყო „დახლოება“ და „გათიშვა“, მაგრამ ბალკანურმა ენებმა ამას გაუძლეს და გადარჩნენ. რატომ? იმიტომ, რომ ამ ენების გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი ძირითადად დარჩნენ“¹.

ამხანაგ სტალინის ამ ბრძნულ მითითებებს, სხვათა შორის, საუცხოვოდ ადასტურებენ ლაზური და აჭარული დიალექტები, რომლებიც ასეული წლების მანძილზე თურქი ასიმილატორების ენის, თურქული ენის ძლიერი გავლენის ქვეშ მოექცნენ. მაგრამ როგორც ლაზურმა, ისე განსაკუთრებით აჭარულმა დიდი სიმტკიცე და გამძლეობა გამოიჩინეს და, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი თურქული ლექსიკური და რამდენადმე გრამატიკული მასალა შეიძინეს, მათი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი მაინც დარჩა. ამის საუცხოვო ილუსტრაციაა ის უამრავი ლაზური ცოცხალი მეტყველების ნიმუშები, რომლებიც გამოქვეყნებულია ჰრ. აჭარიანის, ნ. მარის, ი. ყიფშიძის, არნ. ჩიქობავასა და ს. ჟღენტის მიერ. აჭარაშიც როგორც თურქ დაპყრობელთა ბატონობისას, ისევე ახლაც დედაენად მშობლიური ქართული ენაა. ეს ძეტად საინტერესო საკითხი სპეციალური კვლევის საგანია. ამჟამად ამ წერილის მიზანია მოკლედ მიმოიხილოს ლაზებისა და ლაზურის შესახებ ის ზოგიერთი მასალა, რომელიც XVII საუკუნის თურქი მოგზაურის ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნში“ მოიპოვება და რომელსაც მნიშვნელობა აქვს ლაზებისა და ლაზურის ისტორიის საკითხების კვლევისათვის.

ჩვენი მეცნიერული საზოგადოებრიობა ევლია ჩელების უკვე იცნობს. 1910 წელს აკად. ვ. ბართოლდმა შეისწავლა ევლია ჩელების ცნობები მონღოლური წარმოშობის ტომის ყაითაყებისა და მათი ენის შესახებ.

¹ ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები. თბილისი, 1951, გვ. 23-24.

ეს ცნობები ევლია ჩელების ჩაუწერია ქ. ნუხასა და შემახას შორის¹. პროფ. ი. ყიფშიძემ 1914 წელს მოგვცა ევლია ჩელების მიერ ჩაწერილი მეგრული მასალების მოკლე დახასიათება². აკად. ვლ. გორდლევსკიმ ევლია ჩელების თხზულებათა პირველ ტომში მოთავსებული მასალების გამოყენებით გამოაქვეყნა გამოკვლევა საამქრო ცხოვრების შესახებ სტამბოლში³. 1936 წელს ჩვენ მიერ გამოქვეყნებულ იქნა ევლია ჩელების თხზულებათა მეორე ტომში მოთავსებული მასალები მეგრული და ქართული ენების შესახებ⁴ და სხვ.

მართლაც, XVII საუკუნის თურქეთისათვის ევლია ჩელების მოღვაწეობა უთუოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა. თავისი დროისათვის დიდი მოგზაურ-მეცნიერი, რომელმაც სხვადასხვა ქვეყანაში თავისი მოგზაურობის შედეგად დატოვა ათტომიანი მემკვიდრეობა. ამ ათტომიან თხზულებაში თავმოყრილია ძლიერ დიდი რაოდენობის მასალა ხალხთა კულტურულ-ეკონომიური ცხოვრების შესასწავლად: I ტომში მას აღწერილი აქვს ქ. სტამბოლი, მისი ღირს-შესანიშნავი ადგილები, მოცემული აქვს ცნობილ პირთა ბიოგრაფიები, მოთხრობილი აქვს რუმელიისა და ანატოლიის ადმინისტრაციული დანაწილება და, რაც ძლიერ მნიშვნელოვანია, დაწვრილებითი ცნობები აქვს ჩაწერილი სტამბოლის ამქართა ორგანიზაციების ცხოვრებაზე. II ტომში მოთავსებულია მუდანიაში, ბრუსაში, ტრაპიზონსა და საქართველოში (აფხაზეთი, სამეგრელო, ბათუმი, შავშეთი) მოგზაურობის შედეგები. III ტომი შეიცავს ცნობებს სტამბოლიდან სირიამდე მოგზაურობისა და შემდეგ ბულგარეთის შესახებ. IV ტომში ქ. სტამბოლიდან ანატოლიით ქ. ვანამდე მოგზაურობაა აღწერილი. V ტომი გვაწვდის ცნობებს ჯერ ქურთებზე, შემდეგ პოლონეთზე, უკრაინაზე, ნაწილობრივ უნგრეთზე, ვენეციასა და სხვებზე⁵. VI ტომი უნგრეთისა და გერმანიისადმი მიძღვნილი. ფრიად საინტერესოა VII ტომის ცნობები 1662—1666 წლებში ავსტრიაში, უნგრეთში, ყირიმში, მოლდავეთში, ვალაქიაში; ჩერქეზეთსა და ასტრახანში მოგზაურობის შესახებ. VIII ტომი მოგვითხრობს ჯერ კვლავ ყირიმზე და ჩერქეზებზე, ხოლო შემდეგ კუნძულ კრიტოსზე, ათინაზე, ალბანეთსა და ადრიანოპოლზე. IX ტომი ეხება მექასა და მედინაში მოგზაურობას, ხოლო X—ეგვიპტეს⁶. ასეთია ძლიერ შეკუმშულად სია იმ ქვეყნებისა, სადაც ე. ჩელები იყო და რომელიც მან აღწერა.

სამოგზაურო არის მოცულობისა და მოგზაურობის მიზანდასახულობის სიფართოვის თვალსაზრისით ევლია ჩელები თავისი ეპოქის მოგზაურთა შო-

¹ В. Бартольд, К вопросу о происхождении кайтаков (სათაურში შეცდომით кайтаков წერია). Этнографическое обозрение, книга 84-85, Москва, 1910, № 1, 2, გვ. 37—45.

² Грамматика мингрельского (иверского) языка. Петербург, 1914, გვ. XXIII, XXXII.

³ Вл. Гордлевский, Из жизни пехов в Турнии. Записки Ходяков Восток-ведов. II, Ленинград, გვ. 235—248.

⁴ Georgica-turcica. Евлия Челеби о мингрельском и грузинском языках. კრებულში Советское языкознание, II, Ленинград, 1936, გვ. 109—128.

⁵ ამავე ტომშია მოთავსებული მასალები ხორვატული ენის შესახებ: خروا تترك لسانی

⁶ სტამბოლი (مؤلفی اولیا چلبی محمد ظلی ابن درویش) I, II და III ტომები, 1314 (ჰიჯრისა = 1896—1897); IV და V ტ., 1315 (=1897—1898), VI ტ., 1318 (=1900—1901); VII და VIII ტ., 1928; გამოსულია აგრეთვე IX და X ტომები (1930?), რომლებიც თბილისში არ მოიპოვება.

რის უთუოდ პირველ რიგში უნდა იქნას დაყენებული. აქ ჩამოთვლილ ქვეყნებში ევლია ჩელები ყველგან თვითონ იყო, აკვირდებოდა ხალხის ყოფაცხოვრებას, სახალხო მეურნეობას, ხელოვნების ძეგლებს, მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობასა და რაოდენობას, ფლორას, ფაუნას, წიაღისეულ სიმდიდრეებს, იძლეოდა ქალაქთა და სხვა გეოგრაფიული პუნქტების დაწვრილებით აღწერილობებსა და ცნობებს ამა თუ იმ ხალხის მეტყველების, რელიგიისა და სხვათა შესახებ. ევლია ჩელების თხზულებებში უხვად წარმოდგენილი ამგვარი მასალა შესაძლებლობას იძლევა შესწავლილ იქნას საერთოდ ისტორიის, კულტურის ისტორიის, ისტორიული გეოგრაფიის, ხალხური სიტყვიერების, ენათმეცნიერებისა და სხვა მრავალი საკითხი.

საერთოდ ამიერკავკასიისა და კერძოდ საქართველოს შესახებ ევლია ჩელების დიდძალი სხვადასხვა და მრავალფეროვანი მასალა მოეპოვება. ეს მასალა ჯერჯერობით მეცნიერებისათვის ხელმისაწვდომი არ არის, რადგანაც, სხვა რომ არა იყოს, ევლია ჩელების ამ ვეებერთელა მემკვიდრეობის მთლიანი კრიტიკული გამოცემა არ არსებობს (განსაკუთრებით უხეიროდაა გამოცემული პირველი 6 ტომი).

აქ წარმოდგენილი მასალა ლაზებისა და ლაზურის შესახებ და საერთოდ საქართველოს შესახებ ცნობები მოთავსებულია ე. ჩელების „მოგზაურობის წიგნის“ II ტომში.

ევლია ჩელების მეტად საყურადღებოდ აქვს დასათაურებული თავის თხზულებაში პარაგრაფი ქ. ტრაპიზონის აღწერის შესახებ: اوصاف شهر عظیم و قلعه معمور قدیم ولایت لزیکی یعنی بلاد طرب افرون. ეს ნიშნავს — „აღწერა დიდისა ქალაქისა და კეთილნაშენისა ციხისა ლაზიკის ძველი ვილნაეთისა (ხაზი ჩვენი. ს. ჯ.), ე. ი. ქალაქისა ტრაპიზონისა“¹.

აქ უნდა აღინიშნოს შემდეგი: ქანეთს, როგორც ევლია ჩელების ამ თხზულებიდან ჩანს, თურქები თავდაპირველად „ლაზიკა“-ს ეძახდნენ და ეცნობოდნენ მას ბერძნების მეშვეობით. ბერძნების მეშვეობით, რადგანაც, როგორც ცნობილია, ბერძნები ქანეთს Λαζική — „ლაზიკე“-ს ეძახდნენ². ბერძნული ბოლოკიდური η-ს ნაცვლად თურქული ლ-ს არაბული „ნისბა“-ს აქვს დართული და ნიშნავს „ლაზიკელს“, ან „ლაზიკურს“: ولایت لزیکی — კი „ლაზიკელის ვილნაეთ“-ს, ან კიდევ „ლაზიკური ვილნაეთი“. გარდა ამისა 96-ე გვერდზე ავტორს ნახმარი აქვს აგრეთვე ასეთი, ბერძნულთან უფრო ახლოს მდგომი, ფორმა λζζ ‘ლაზიკე’.

განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა XVII საუკუნის თურქი ისტორიკოსის ევლია ჩელების ჩვენება იმის შესახებ, რომ „ტრაპიზონი ლაზიკის ძველი პროვინციის (ვილნაეთის) ქალაქია“³: شهر عظیم و قلعه معمور قدیم ولایت لزیکی.

ყურადღების ღირსია ევლია ჩელების მიერ მოტანილი ლეგენდა ქალაქის დაარსების, მისი მპყრობელებისა და ტრაპიზონის სახელის წარმოშობის შესახებ. ის ამბობს, რომ ტრაპიზონს საფუძველი ჩაეყარა ერთ-ერთი მეფის მიერ ალექსანდრე დიდის დროს. შემდეგში აზერბაიჯანის მპყრობელს სულთან უზუნ ჰასანს ეს ქალაქი გენუელებისათვის წაუერთმევია და სახელად დაურქ-

¹ اولیا چلبی سیاحتنامه‌سی ტ. II, სტამბოლი, გვ. 81.

² იხ. მაგალითად, ს. ყაუხჩიშვილი, გეოგრაფიკა — ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი, 1934, ტ. II, გვ. 21.

³ შდრ. ს. ყაუხჩიშვილი, გეოგრაფიკა. IV, ნაკვ. II, გვ. 375 („ლაზეთის ქალაქია ტრაპეზუნტი“).

მეფია **طرب زن** — თარაბ-ი-ზენ; **طرب** არაბულად ‘ლხინს’, ‘სიხარულს’ ნიშნავს; ხოლო **زن** სპარსულად — ‘ქალს’; „ტრაპიზონი“ გააზრებულია **طرب زن** „თარაბ-ი-ზენ“-ად, რასაც ‘ქალის ლხინის’, ‘ქალის სიხარულის’ მნიშვნელობა აქვს, რადგანაც, დასძენს ევლია, იმ დროს მისი (ე. ი. ტრაპიზონის) მპყრობელი იყო მხიარულების მოყვარული ქალიო¹. უნდა ვიფიქროთ, რომ ტრაპიზონის მპყრობელ ქალში ლეგენდა გულისხმობს თამარ მეფეს, რომლის დროსაც „ტრაპიზონის საკეისროში საქართველოს გავლენა იყო გაბატონებული“². ყოველ შემთხვევაში ევლია ჩელების ეს ცნობა კარგად ეხმაურება ი. ყიფშიძის მიერ კანეთში კანებისაგან ჩაწერილ ამბავს, რომ „ჩვენი ძველები მეგრელები იყვნენ და ძველ ტრაპიზონამდის ქვეყანა ქართველთა ფადიშაჰის თამარ მეფის ხელში ყოფილაო“³.

ევლია ჩელები შემდეგ გადადის სულთან მეჰმედ II-ის მიერ 1460 წელს ტრაპიზონის დაპყრობაზე და საყურადღებო ცნობებს იძლევა ისევ ქალაქ ტრაპიზონის სახელების შესახებ.

ზემოთ ჩვენ წარმოვადგინეთ ევლია ჩელების მიერ „ტრაპიზონ“ სიტყვის ასეთი გააზრება: **طرب زن** — „ქალის სიხარული“, ამჯერად კი ავტორი „ტრაპიზონ“ სიტყვის ასეთ ხალხურ ეტიმოლოგიას იძლევა: სულთან მეჰმედ II-ს ძლიერ მოეწონა ტრაპიზონის ჰაერიო და სახელად მას **طرب افزون** უწოდაო⁴. **طرب افزون** სპარსულად ‘მრავალს’, ‘ბევრს’ ნიშნავს და, ამდენად, **طرب افزون** — „სიხარულის გამადიდებელი“, „სიხარულის მომგვრელი“, „ადგილი, სადაც ბევრი სიხარულია“. მართლაც, დაასკვნის ევლია, ტრაპიზონი სმა-ჰამის და დროს სატარებელი ადგილიაო⁵.

შემდეგ ე. ჩელები უფრო დაწვრილებით ჩერდება ტრაპიზონის სახელებზე და უფრო საინტერესო მასალებს გვაძლევს: **یر اسمی ده شهر باطوم زیردر** — „ერთი მისი სახელთაგანი კი ქალაქ ქვემო ბათუმი არის“-ო, (**زیر** სპარსულად „ქვემოს“ ნიშნავს, ხოლო **باطوم** — „ქვემო ბათუმს“). შემდეგ, ქვემოთ, იმავე გვერდზე ჩამოთვლის ტრაპიზონის ვილაიეთში შემავალ სანჯაყებს და სხვა სანჯაყთა შორის ასახელებს ცალ-ცალკე **باطوم زیر** და **باطوم بالا**, ე. ი. ქვემო ბათუმსა და ზემო ბათუმს⁶. რომ ბათუმის სახელით მართლა ორი პუნქტი ყოფილა ცნობილი იქიდანაც ჩანს, რომ ევლია ჩელები თავისი „მოგზაურობის წიგნის“ ამავე ტომში 83-ე გვერდზე ბათუმის სახელი არაბული წყვილობითი რიცხვის ფორმაში მოყავს — **تیمارهای نوای باطومین** — ‘ორთავე ბათუმის სანჯაყის თიშნარები’. ამ საკითხს, რა თქმა უნდა, შემდეგი კვლევა უნდა; არსებობდა თუ არა ქვემო და ზემო ბათუმი ცალ-ცალკე და

¹ ევლია ჩელები, II, გვ. 81.

² ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია. I, თბილისი, 1946 წ., გვ. 208.

³ არნ. ჩიქობავა, პროფ. ი. ყიფშიძე და კანურის მეცნიერული შესწავლა წიგნში: პროფ. იოსებ ყიფშიძე, კანური ტექსტები. თბ., 1939, გვ. XXXI. საერთოდ თამარ მეფე რომ ძლიერ პოპულარულია მთელ სამხრეთ საქართველოში და ზოგჯერ თურქულ ისტორიოგრაფიულ ძეგლებში, იხ. ენიშკის მონაბე, II, გვ. 257 და V—VI, გვ. 378.

⁴ ევლია ჩელები, II, გვ. 82.

⁵ იქვე.

⁶ იქვე.

⁷ იქვე.

ერქვა თუ არა როდისმე ტრაპიზონს „ქვემო ბათუმი“. ამჟამად ჩვენ ამ საკითხის კვლევის შესაძლებლობა არ გვაქონდა.

შემდეგ ველია ჩელები წერს, რომ ტრაპიზონის ერთი სახელიც „ლაზიკის ქალაქი“ ან, 'ქალაქ ლაზიკი', — شهر لازکی არისო¹.

ე. ჩელები კიდევ ასახელებს ტრაპიზონის სახელწოდების ერთ ვარიანტს: „ზოგი მას ეძახის طرب افسون-სო“, რაც ნიშნავს — „ჯადოსნობის სიხარული“, „ჯადოსნური სიხარული“².

დასასრულ, ავტორს ტრაპიზონის ხალხურ ან მდაბიოთა სახელად მოჰყავს طربوزان, 'ტარაბუზან'³, რაც, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ტრაპიზონის სახელის ქანური ფორმაა.

ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რომ ამ მხარეს, ტრაპიზონის ვილჯეთს „ლაზიკის ვილჯეთი“ რქმევია. თვით ლაზებს ე. ჩელები გარდა „ლაზებისა“ ეძახის აგრეთვე لڭڭي, 'ლაზიკილერ' — ლაზიკელები.

აქ ე. ჩელები იმასაც კი ცდილობს, რომ მოგვცეს, „ლაზ“ სიტყვის ახსნა, მართალია, ეს მისი ცდა მეტად გულუბრყვილოა, მაგრამ ავტორის ამ საკითხისადმი ინტერესი მაინც აღსანიშნავია. ე. ჩელები ამბობს, რომ لازکی — 'ლაზიკი' (— 'ლაზიკელი') სიტყვის წარმოთქმის უფრო გასაადვილებლად ჭკ-ში ბოლოკიდურ ორ ბგერას კ-სა („ქაფს“) და ც-ს („ააჰ“-ის) სულ არ წარმოთქვამენ ხოლმე და ჭკ 'ლაზ' სიტყვა ამგვარად მივიღეთ⁴.

თუ ყველაფერ ამას გავითვალისწინებთ, ჩვენ დავინახავთ, რომ ტრაპიზონის ქვეყნის ეთნიურად დახასიათებისას ყურადღების ცენტრში ლაზები არიან; ლაზები ტრაპიზონის მხარეში მნიშვნელოვანი წონის მქონე და დომინანტი ტომია. ველია ჩელებიც იძულებულია ანგარიში გაუწიოს ამ სინამდვილეს და თავის „აღწერაში“ წარმოადგინოს ლაზები როგორც ტრაპიზონისა და მისი სანახების ძირითადი ბინადარი ტომი.

ტრაპიზონის მოსახლეობის შესახებ ე. ჩელები, სხვათა შორის, ამბობს, რომ სულთან მეჰმედ II-მ ეს ტრაპიზონის ციხე რომ აიღო, ყოველი მხრიდან ბევრი სხვადასხვა წარმოშობის ხალხი მოიყვანა ტრაპიზონში⁵. მაგრამ ამ ცნობას იქვე დასძენს, რომ اكثر خلقی لازدن مرکبدر, ე. ი. მოსახლეობის უმრავლესობა ლაზისაგან შედგებაო. რაც შეეხება ტრაპიზონის

¹ ევლია ჩელები, II, გვ. 82.

² იქვე. ამასთან დაკავშირებით ინტერესს მოკლებული არ იქნება მოვიგონოთ ცნობა იმის შესახებ, რომ ქანეთში მდ. ათინის მარჯვენა მხარეს ყოფილა გეოგრაფიული პუნქტი ესქი-ტრაპიზონ, ე. ი. ძველი ტრაპიზონი ქანურად მოლაპარაკე მოსახლეობით. ამ ძველი ტრაპიზონისათვის ქანებს თურმე თავიანთი სახელიც აქვთ „კუწური“ ან „კუწუმბი“, ან კიდევ „კუწუმბრი“ (კილოკავების მიხედვით), ისევე როგორც ნამდვილი ტრაპიზონისათვისაც ქანებში თავისებური სახელი არსებულა „ტრამტრა“-ს ან „ტამტრა“-ს სახით (იხ. ნ. მარი. Из поездки в Турецкий Лазистан. Известия И. Академии Наук, 1910, № 8, გვ. 610—611).

³ اوليا چلبی — II, გვ. 82.

⁴ იქვე. „ლაზ“ ტერმინის ეტიმოლოგია მოცემული აქვს აკად. ნ. მარს, რომლის მიხედვით ლაზ «эллинизованная форма (λαζοι, λαζοι или λαζοι) названия страны «лаз»-ов или тех же чан-ов. Оно образовано с помощью префикса la: la-zlani-ი». სიტყვის ასეთი წარმოება მას მიაჩნია სვანურად (Из поездки в Турецкий Лазистан. Известия Академии Наук, 1910, № 8, გვ. 607).

⁵ ე. ჩელები, II, გვ. 84.

⁶ იქვე, გვ. 84. ზუსტად ასე აქვს ცნობილ მეისტორიეს Katib Celebi-საც (Hacı Kalfa); იხ. მისი جهان نما 33. 429.

თურქთა მიერ დაპყრობის შემდეგ იქ ხალხთა გადმოსახლებას, ეს სწორი არ უნდა იყოს, რადგანაც ამის შესახებ არავითარი სხვა კონკრეტული ცნობა არ არსებობს.

საინტერესო ცნობებს იძლევა ევლია ჩელები თვით ლაზების თითქოსდა სხვადასხვა ტომის შესახებ. ტრაპიზონიდან მომავალი ევლია ჩელები ტრაპიზონის ახლო ერთ-ერთი დასახლებული პუნქტის აღწერას იძლევა და ბოლოს შენიშნავს, რომ جميع خلقى چيچو دار 'მთელი მოსახლეობა ჩიჩუ არისო'¹.

შემდეგ რიზესთან ახლო მდებარე პუნქტ ხობან (خوبان)-ში, ამბობს ჩელები, جملة خلقى چغتالازدار 'მთელი მოსახლეობა ჯღეთა-ს ლაზია-ო'².

გონიოს ციხის მიდამოების აღწერისას ავტორი შენიშნავს, რომ „ამ რაიონის [მოსახლეობა] სულ ხიშტის წვერის [ენით] მოლაპარაკე, მეამბოხე ჩიჩუ-ლაზები იაო (چيچو لازدار)“.

ამას გარდა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ევლია ჩელების თავის „მოგზაურობის წიგნში“ ერთი ლაზური ლექსი მოჰყავს და ამბობს, რომ ეს ლექსი چيچو و چغتال — 'ჩიჩუ და ჩღათა'-ების ლექსიაო.

ამრიგად, რამდენიმეჯერ მოხსენებულია ორი კანური ტომის სახელი — چيچო და چغتال ან چغتال.

ამასთან დაკავშირებით უნდა მოვიგონოთ, რომ პროფ. ი. ყიფშიძეს სოფ. პერონთიდან თავის ხოფელ ინფორმატორად დასახელებული ჰყავს ვინმე ხუსეინ ეფენდი ჩიჩეკ-ოღლი, ხოლო ფრჩხილებში მოთავსებული აქვს ამ ინფორმატორის, უნდა ვიფიქროთ, მეორე და ძველი გვარი — ჩიჩუვა. პროფ. ი. ყიფშიძის კანური ტექსტების გამომცემელი პროფ. არნ. ჩიქობავა ამის შესახებ სქოლიოში შენიშნავს, რომ ჩამწერს, პროფ. ი. ყიფშიძეს აქვს: «...ჩიჩუვა-ჩიჩეკ-ოღლი»³. გარდა ამისა, იგივე ინფორმატორი დასახელებულია მე-17 გვერდზე, სადაც პირდაპირ წერია „ხუსეინ ეფ. „ჩიჩეკ-ოღლი (=ჩიჩუვა)“. უნდა ვიფიქროთ, რომ ი. ყიფშიძის ინფორმატორის გვარი ჩიჩეკ-ოღლი ქრისტიანობის დროის გვარის „ჩიჩუვა“-სგან უნდა იყოს გადმოკეთებული. „ჩიჩუვა“ გარეგნულად დაკავშირებული უნდა იყოს „ყვავილის“ მნიშვნელობის მქონე თურქულ çiçek სიტყვასთან. ამავე დროს ამ ჩიჩეკ-ოღლის“ გვარის მატარებლებს, როგორც ჩანს, ხსომეზიანთ თავიანთი ძველი გვარი, როპელიც აქ „ჩიჩუვად“ არის გადმოცემული.

რა თქმა უნდა, ამასთან კავშირში უნდა იყოს ისიც, რომ ი. ყიფშიძეს დასახელებული აქვს ჭანეთისათვის სოფ. ჩიჩევა (რიზეს ოლქში)⁴.

ი. ყიფშიძის მიერვე ჩაწერილი ერთი ტექსტიდან „ლაზისტანში თარიხი“ (ლაზისტანის ისტორია) ჩვენ გვეცნობით აგრეთვე ერთ ქრისტიანობის დროის გვარს „ხეციას“ (მუსლიმანიში ალი-ფაშაშა პეტრო ხეცია ელჩი მენდახტუ)⁵.

ი. ყიფშიძის ერთი ინფორმატორის — ბაირახტარ მუსტაფა ბექერ-ოღლის — პერონთელის ძველ გვარად „ჩხეიძე“-ა დასახელებული⁶.

¹ اوليا چيچى. II, გვ. 95.

² იქვე.

³ ი. ყიფშიძე, კანური ტექსტები. თბილისი, 1939, გვ. 2.

⁴ ენიკის მოამბე. ტ. I, გვ. 161. კანეში მოგზაურობა, არნ. ჩიქობავას რედაქციით.

⁵ ი. ყიფშიძე, კანური ტექსტები. გვ. 5.

⁶ იქვე, გვ. 26.

ზემოხსენებული „ხეცია“ გვარის შესახებ არნ. ჩიქობავა ამბობს, რომ „ხეცია“ გვარი ქართულად — „მხეიძე“-დ იწერება და ეს უკანასკნელი კი „მხეციძე“-დან მომდინარეობს¹. აკაკი შანიძეს „მხეიძე“ გვარი „მხეტიძე“-დან მომდინარედ მიაჩნია („ტ“ თანხმოვნის ამოვარდნით, შდრ. მეგრ., 'მხეცია')².

ფეიქრობ სავსებით შესაძლებელია ი. ყიფშიძის „ჩიჩუვა-ჩიჩუვების“ დაკავშირება ევლია ჩელების چيچو-ებთან. ევლიას ჩაწერილი აქვს ჩიჩუ, სადაც „ა“ შეიძლება ამ შემთხვევაში დაკარგულიყო, თუ გნებავთ, იმიტომაც, რომ „ა“ თურქულში მიცენითი ბრუნვის ნიშანია.

ასევე შეიძლება, მე მგონია, چيچو ან چيچو სიტყვის დაკავშირება „მხეცია“ სიტყვასთან. ეს მით უფრო, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ი. ყიფშიძეს ჩაწერილი აქვს გვარი მხეიძე, რომელიც „მხეტიძე“-დან მოდის და ზანურად მხეცია-ს უდრიდა.

چيچو „მხეციას“ გადათურქებული, გადამახინჯებული ფორმა უნდა იყოს.

ამრიგად, ევლია ჩელები ასახელებს XVII საუკუნისათვის ორ ლახურ ტომს چيچო-სა და چيچو-ს, რომელიც ი. ყიფშიძის მიერ ჩაწერილ „ჩიჩუვასა“ და „მხეციას“ უნდა შეესაბამებოდეს. მე მგონია, რომ ჩელების „ტომი“ ჩვენ „საგვარეულოდ“ უნდა გავიგოთ, ანდა რომელიმე ფეოდალის გვარად, რომელიც თავის ქვეშევრდომებთან ერთად ევლიამ, ალბათ, ერთ ტომად ჩათვალა.

ამასთან დაკავშირებით ძლიერ საინტერესოა ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“ ის ადგილი, სადაც მას მოყვანილი აქვს: 1. ლაზისათვის დამახასიათებელ წარმოთქმაში მუსლიმური საკუთარი სახელები 'ფაშა' სიტყვის დართვით, 2. მეტსახელები, 3. ქალის სახელები და 4. მამაკაცის სახელები. ამ საკუთარ სახელებში ზოგან გამორეულია ძველი ქანური ეროვნული სახელებიც. ოღონდ ამ სახელების სწორი ფორმის დადგენა ამ გამოცემის მიხედვით ძლიერ რთული საქმეა. პროფ. ი. ყიფშიძეს მოჰყავს ქალის ერთი ქანური სახელი — ტუხა. ამას უნდა მივმატოთ ევლიას მიერ ჩაწერილი ლაზი ქალის სახელი توتى — თუნთი, რომელიც გარკვევითაა დაბეჭდილი.

ევლია ჩელების შემდეგ მოყვანილი აქვს თურქული ლექსი ლახურ-თურქულ დიალექტზე და შენიშნავს, რომ ლაზები „ასეთ ბაიათსაც მღერიან:

طرابوزاندر یریمز اخچه دوتمز الوموز
خاپسی پالوق اولماسه نیچه اولورتی خالوموز

ქართული ტრანსკრიფციით:

„თრაბუზანდურ აერიმიზ,
ახჩა დუთმაზ ელუმუზ
ხაფსი ფალუკ ოლმასა
ნიჩე ოლურთი ხალუმუზ“³.

¹ იქვე, არნ. ჩიქობავა, პროფ. ი. ყიფშიძე და ქანურის 'მეცნიერული შესწავლა'. გვ. XXXVIII.

² ქართული გრამატიკის საფუძვლები. I, თბილისი, 1942, გვ. 116.

³ اولیا چلبی سیاحتنامه سی — II, გვ. 92.

თარგმანი:

„ტრაპიზონია ჩვენი მიწა-წყალი,
ფული არ ჰყვება ხოლმე ჩვენ ხელს.
ხამსას თევზი რომ არ იყოს,
რა გვეშველებოდა ჩვენ“.

ამ, ეგრეთ წოდებულ, „ბაიათში“ უპირველესად ყოვლისა საგულისხმოა ის, რომ XVII საუკუნის ტრაპიზონელ ლაზებს ტრაპიზონი თავიანთ მშობლიურ მიწა-წყალად მიაჩნიათ. ევლია ჩელების მიერ ლაზებისაგან ჩაწერილ ამ ლექსში ლაზი ხაზგასმით ამბობს, რომ „ტრაპიზონია ჩვენი მიწა-წყალი“¹. ოსმალთა ბატონობის პირობებში სოციალურად და ეროვნულად შევიწროებული ლაზი ხალხი უჩივის მატერიალურ გაჭირვებას და ამბობს, რომ „ფული არ ჰყვება ჩვენ ხელს. ხამსას თევზი რომ არ იყოს, რა გვეშველებოდა ჩვენ“-ო. ლაზების სიღარიბე და ლაზის ეკონომიკაში ხამსას (ქაფჩა) თევზის დიდი მნიშვნელობა მოთხრობილი აქვს აკად. ნ. მარსაც².

ამ თვალსაზრისით მეტად დამახასიათებელია ნ. მარისვე მიერ ჩაწერილი ლაზური ლექსი:

„ჰანწო ვარ ივუ ქაფჩა:
ბერეფე ჩქიმის მუ ბჩა?“³
„წელს ხანსის მოსავალი არ იქნა,
რალა ვაჭამო ჩემს ბავშვებს“.

უფრო მეტ ინტერესს წარმოადგენს ეს ლაზურ-თურქული „ბაიათი“ ენათმეცნიერების თვალსაზრისით. ევლია ჩელების ეს თურქული ლექსი ჩაწერილი აქვს ლაზისაგან. ამასთანავე ერთად ის ცდილობს ამ ჩაწერის დროს დაიჭიროს და ფიქსაცია უყოს იმ ფონეტიკურ თავისებურებებს, რომელიც დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ლაზისათვის თურქულად მეტყველების დროს.

უკვე ცნობილი ფაქტია და სამეცნიერო ლიტერატურაშიც დადგენილია, რომ ქართული მეღერი ხშულები ხარისხობრივად შეიცავენ ნაკლებ მეღერობას ვიდრე, მაგალითად, რუსული ხშულები⁴. 1936 წელს ჩვენ მიერ გამოცემული ევლია ჩელების მეგრული და ქართული ენობრივი მასალების გარჩევისას აღნიშნულ იქნა, რომ თურქულთან შედარებით ქართული ხშული მეღერები ნაკლები მეღერობისანი უნდა ყოფილიყვნენ⁵. ამის საბუთს იძლეოდა ის გარემოება, რომ ევლია ჩელები ქართული მასალების ხშულ მეღერებს გადმოსცემს სათანადო რიგის ყრუ თანხმოვნით. მაგალითად, ქართული ‘გო-გო’ სიტყვა მას გადმოცემული აქვს ასე: *قو قو*⁶ და სხვ.

¹ Из поездки в Турецкий Ливан. Известия И. Академии Наук, Петербург, 1910, № 8, გვ. 615. ტრაპიზონთან დაკავშირებით ხამსაზე იხ. აგრეთვე ჰაჯი-კალფას (= ქათიბ ჩელები—1659—1657) *ناحج*, გვ. 431.

² Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарём. СПб., 1910, გვ. 196.

³ იხ. ამის შესახებ პროფ. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები. თბილისი, 1949, გვ. 58-59.

⁴ Евлия Челеби о мингрельском и грузинском языках. Сб. Советское языковедение, т. II, Ленинград, 1936 г., стр. 124.

⁵ იქვე.

ევლია ჩელების მიერ აქ წარმოდგენილ „ბაიათში“ მოყვანილი თურქული ენობრივი მასალა, შეიძლება ითქვას, სავსებით ადასტურებს ამ აზრს. ირკვევა, რომ ხარისხობრივად ნაკლები მეღერობა დამახასიათებელია არა მარტო ქართული ხშული მეღერებისათვის, არამედ ამ შემთხვევაში ლაზურ მეღერთათვისაც. ამ „ბაიათში“ ამის მაჩვენებელი მაგალითები შემდეგია: თურქული სიტყვა *balık* ('თევზი') ლაზის წარმოთქმაში ევლია ჩელების გადმოცემული აქვს ასე *پالوق* — *paluk*, რაც იმას ნიშნავს, რომ თურქული მეღერი ხშული ხ ლაზის წარმოთქმაში ევლია ჩელების აღქმული აქვს ყრუ ხშულ *پ* (*p*) თანხმოვნად. ამ თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე ამავე „ბაიათის“ *اولورتی* (*olurti*) სიტყვა. აქ *اولمق* (*olmak*) ზმნა მოცემულია განუსაზღვრელ იმპერფექტში III პირის ფორმად, სადაც თურქულში (როგორც სალიტერატუროში, ისე დიალექტებშიც) *اولوردی* (*olurdi-olurdu*) გვაქვს. სონორ *r*-ს შემდეგ აფიქსისეული *d*-ს გაყრუება აქ აბსოლუტურად არ არის მოსალოდნელი. ამდენად ჩვენ ამ მაგალითში გვაქვს ლაზის მიერ წარმოთქმული მეღერი ხშულის ყრუდ აღქმის შემთხვევა თურქის (ევლია ჩელების) მიერ.

ლაზების შესახებ ამავე ხასიათის საყურადღებო მასალას იძლევა ევლია ჩელები აგრეთვე თავისი თხზულების იმ ნაკვეთში, რომელიც დასათაურებულია ასე: *اسملری* ე. ი. „მათი [ლაზების საკუთარი] სახელები“¹. ეს სახელები ჭანური ეროვნული საკუთარი სახელები არ არის, მაჰმადიანური სახელებია. მაგრამ ამ სახელთა გადმოცემაში კვლავ ყურადღებას იქცევს ლაზური ფონეტიკური ელფერი, რომელიც ასე თუ ისე ევლია ჩელების მაინც შენიშნული აქვს. ასეთი საკუთარი სახელების ტრანსკრიფციაც მხარს უჭერს ზემოხსენებულ მოსაზრებას ჭანური ფონეტიკის გარკვეულ საკითხზე. ცნობილი სპარსულ-თურქული წარმოშობის საკუთარი სახელი *خداویردی* — *Hudaverdi* ევლია ჩელების გადმოცემული აქვს ასე: *ختاویرتی* — *Hutaverti*². ამ სიტყვის, როგორც პირველი მეღერი *d* თანხმოვანი, ისე მეორეც ტრანსკრიბირებულია ყრუ ხშული *ت* (*t*)-თი. იმავე ადგილას ასევე ყრუ ხშულის *پ* (*p*) ნიშნით არის გადმოცემული მეღერი ხშული *ب* (*b*) სიტყვაში *پشیر* (*پشه*) (*Peşir [paşa]*), რომელშიც უდავოდ ცნობილი მუსლიმური სახელი *Beşir*-ი იგულისხმება. *ج* (*ç*) თანხმოვანი *ح* (*h*) ასოთია გადმოცემული სიტყვებში *حاجی* (*حیچو*) — *Haçi (çiço)* *حاجی* — *hacı* სიტყვის ნაცვლად და *چافر* — 'ჩაფერ' ნაცვლად *جعفر* — ჯაფერ-ისა. ასევე შესატყვისი ყრუ *س* (*s*) თანხმოვნითაა გადმოცემული მეღერი სპირანტი *ز* (*z*) — *فاسلی* საკუთარ სახელში, რომელიც არაბულ-თურქული სახელის *فضلی* — *Fazlı*-ს შესაბამისია³.

საინტერესოა, რომ ევლია ჩელები ამგვარი საკუთარი სახელების გადალაზებული ფორმების მოყვანის შემდეგ შენიშნავენ:

دها بو کبی بر چوق تحف اسملردر. اما حقیقته نظر اولنورسه بولرینه الفاظ مشهوره در. فقط لازلر لهجه لرینه اویدیرهرق تحریف ایله مشلردر.

¹ ... اولیا جلبی II, გვ. 84.

² იქვე.

³ იქვე.

ე. ი. „კიდევ ბევრი ამგვარი უცნაური სახელებია. მაგრამ, თუ ჩვენ სძნამ დვილეს გავითვალისწინებთ, დავინახავთ, რომ ესენი [ე. ი. ეს სახელები] ცნობილი [ჩვეულებრივი] სიტყვებია. ოღონდ [ეს სიტყვები] ლაზებს თავიანთი ენისათვის შეუკუებიათ და დაუმახინჯებიათ“-ო¹.

თვით ლაზთათვის ეს მოკლენა შეუმჩნეველია და მათი შეხედულებით თურქული მეღერები მეღერებადვე წარმოითქმის. თბილისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის ამხ. იბრ. თანდილავას აზრით baluk, hudaverdi, olurdi, beşir, cafer (ჯაფერ), hacı (ჰაჯი) და fazlı სიტყვებში მეღერ თანხმოვნებს ლაზებიც მეღერად წარმოთქვამენ. რა თქმა უნდა, ევლია ჩელების დროსაც ასეთი მდგომარეობა უნდა გვექონოდა, ოღონდ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ მოვლენასთან, როგორიც პროფ. გ. ახვლედიანმა შენიშნა რუსთათვის: ლაზურ „ხშულთა მეღერობა არაა საკმარისი [თურქის] სმენისათვის, რომ მან მეღერად აღიქვას ისინი“².

ევლია ჩელების მიერ ჩაწერილ ამ ლექსში ასახულია აგრეთვე ლაზურ-თურქული დიალექტისათვის დამახასიათებელი საინტერესო მომენტები: el სიტყვისათვის დართული მრავლობითი რიცხვის 1 პირის კუთვნილებითი აფიქსი umuz-ია და არა ხმოვანთა ჰარმონიის წესის მიხედვით მოსალოდნელი imiz. ლაზურ-თურქულ დიალექტში ხმოვანთა ჰარმონიის მეტად თავისებური დარღვევის ეს მაგალითი იმას მოწმობს, რომ ევლია ჩელები საკმაოდ კარგ დაკვირვებას იჩენს ენობრივ ფაქტებზე და რომ მის მიერ შენიშნული და ჩაწერილი თავისებურებანი, თუ თურქული სატრანსკრიფციო ხასიათის დაბრკოლებებს არ მივიღებთ მხედველობაში, საერთოდ სანდო უნდა იყოს.

არაბული حال — სიტყვა (= 'მდგომარეობა') ევლია ჩელების ჩაწერილი აქვს خ ნიშნით: خال და خالوموز. ასეთივე ვითარება გვაქვს თურქული საკუთარი სახელის ჭანურ წარმოთქმაში: خال — 'ალაჰის მონა' - არაბ. عبد الله — 'abul-ul-lah — 'ღვთის მონა'. ამ სიტყვაშიც არაბულ-თურქული (3) თანხმოვანი ჭანურში خ (ხ)-ს გვაძლევს. ამ შემთხვევაშიც ე. ჩელები სავსებით ზუსტად უნდა გადმოსცემდეს არაბულ-თურქული სიტყვის ლაზურ წარმოთქმას. ფაქტია, რომ ლაზურში ხორხის მიერ ჰ-ს გაძლიერება ხდება იმდენად, რომ იგი უკანაენისმიერ სპირანტ ხ-ს გვაძლევს; მაგალითად, არაბ. hekim ლაზურში „ხეჰიმა“, ჰაჯი — „ხაჯი“-ა³ და სხვ. მრ. (შდრ. აქარული „ხასანი“ < حسن, „ხუსეინი“ < حسين და სხვ.).

ევლია ჩელების თავის „მოგზაურობის წიგნში“ მოთავსებული აქვს აგრეთვე დროის მიხედვით პირველი ჩანაწერი ჭანური მეტყველების ნიმუშისა. ისევე როგორც მეგრულის მასალები პირველად ევლია ჩელების მიერ არის ჩაწერილი⁴, ჭანური ენობრივი მასალის ჩაწერის პრიორიტეტიც ეკუთვნის იმავე ევლია ჩელების, რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, დიდ ინტერესს იჩენდა მის მიერ მოვლილ ქვეყნებში ენების მიმართ. უკვე გამოცემულია და დამუშავებულია ევლია ჩელების მიერ ჩაწერილი ენობრივი მასალები ქართუ-

¹ ე. ჩელები, იქვე.

² გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები. გვ. 59.

³ არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ. თბილისი, 1936, გვ. 83.

⁴ ი. ყიფშიძე, Грамматика мингрельского языка. გვ. XXIII. აგრეთვე: Евлия Челеби о мингрельском и грузинском языках. Сб. «Советское языкознание», II, гв. 113.

ლი, მეგრული, აფხაზური, უბიხური¹, ზოგი, მაგალითად, თოსია და ბოლოს თურქული დიალექტები², ნახიჩევანის მიდამოებში ჩაწერილი სპარსული დიალექტოლოგიური ნიმუშები³ და სხვა მასალებიც ჯერ შეუსწაველია.

ჩვენ აქ მოგვყავს ერთი ლაზური ლექსი, რომელიც ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნის“ იმავე II ტომშია მოთავსებული. ლექსი ევლია ჩელების ჩაწერილი აქვს, როგორც თვითონ ამბობს, ჩიჩუებისა და ჩლთა'ების ლაზურ ტომთა წარმომადგენელთაგან. ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რომ ორივე ეს ტომი თუ გვარეულობა ლაზურია. გარდა ამისა ლექსის ბოლოს ევლია შენიშნავს, რომ ეს ლაზიკელთა ენა არისო. ასე, რომ ლექსი რომ ლაზურია, მის რომელიდაც კილოკავზე ჩაწერილი, ექვს არ იწვევს.

„აქ ჩაწერილ იქნა: شعر مهملرندن بریسی تحریر اولندی: ჩიჩუებისა და ჩლთა'ების ერთ-ერთი ძველი ლექსი“:

طومور فوندا پاليقارو
کپخا پايں طوخامو

تون زاريفون تايينچارو
اڤخاينکه غوخا طونا

ტრანსლიტერაციით:

თუ(ო)ნ ზარილუ(ო)ნ თაბინჩ(კ)არუ(ო) თუ(ო)მუ(ო)რ ჭუ(ო)ნდა ფალიკარუ
აფხაინგ(კ)ა ლუხა (ლოხა) თუ(ო)ნა ქუხა ფაის თო(უ)ხმამუ(ო)⁴.

ამ ლექსს ევლია ჩელები შემდეგ განმარტებას ურთავს: „მაგრამ ლაზიკელთა ენა კალამს არ ემორჩილება, არ ჩაიწერება, ძლიერ უცნაური ენაა“⁵. ევლია ჩელების ჩივილი სავსებით სწორი და მართებულია. ლაზური სიტყვიერი მასალის გადმოსაცემად ევლია ჩელები ძლიერ შეზღუდულია თავისი არაბულ-თურქული სატრანსკრიფციო ნიშნებით. რიგი ლაზური თანხმოვნებისათვის, მაგალითად, მკვეთრებისათვის, აგრეთვე რამდენიმე აფრიკატისათვის თურქულს არავითარი ნიშანი არ გააჩნია. გარდა ამისა ლაზური მრავალთანხმოვნიანობა თურქულისათვის სავსებით უჩვეულოა ისევე, როგორც ლაზურ თანხმოვანთა ბუნებრივი კომპლექსები ძნელად წარმოსათქმელია თურქისათვის.

სამწუხაროდ ევლია ჩელების მდიდარი მემკვიდრეობა თურქეთში ჯერჯერობით კრიტიკულად გამოცემული არ არის. აკად. ვ. ბართოლდი, რომელიც ევლია ჩელების ენობრივი ხასიათის ჩანაწერებს „ძვირფას ლინგვისტურ მასალას“ უწოდებს, ასე ახასიათებს ევლია ჩელების თხზულებათა გამოცემას: „...константинопольское издание в корректурном отношении отнюдь не является надежным, не говоря уже о каком-либо соблюдении требований филологической науки“⁶.

ყველა ზემოთქმულიდან ცხადია, რომ ევლია ჩელების მიერ ჩაწერილი ეს ლაზური ლექსები დიდი დეფექტებით უნდა იყოს ჩვენამდე მოღწეული ჯერ ერთი იმიტომ, რომ მის ჩამწერს ძლიერ უჭირდა ლაზური სიტყვების აღქმა, მეორე—მას ჰქონდა ამისათვის ძლიერ დეფექტური სატრანსკრიფციო

¹ R. Bleichsteiner, Die kaukasischen Sprachproben in Evliya Çelebi's Seyahetname. Caucasia, XI. 1934, გვ. 84—124.

² ე. ჩელები. II გვ. 175.

³ იქვე, გვ. 238.

⁴ იქვე, გვ. 93.

⁵ Этнографическое обозрение, кн. 84-85, გვ. 39.

საშუალება. მესამე — ორიგინალიდან გადაწერილია შეცდომებით და, ბოლოს, ცუდად აქვს გაკეთებული კორექტურა. ყველაფერი ამის გამო ამ ლექსის გაგება ძალიან გაძნელდა. ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა ეს ლექსი, ასე ვთქვათ, ამოსაშიფრავად გაგვეგზავნა ლაზებით დასახლებულ სოფ. სართში, მაგრამ უშედეგოდ. ჯერჯერობით მოხერხდა მცირე რისამე გარკვევა:

მეორე სტრიქონის მესამე სიტყვა واقيس ნიშნავს 'მამაცს', 'გმირს'. ნ. მარს თავის ლექსიკონში ეს სიტყვა ვიწურ-არქაბული კილოს კუთვნილებად მიაჩნია. ამ სიტყვის გასარკვევად მის მოყავს აგრეთვე ჰრ. აქარიანის მიერ ე. წ. ბათუმის კილოსათვის ჩაწერილი სიტყვა „პაიკალე“-ს ფორმით და ხსნის მის მნიშვნელობას თურქული 'დელიკანი' სიტყვით¹. ოღონდ ნ. მარს აღნიშნული არა აქვს, რომ ეს სიტყვა ბერძნული წარმომავლობისაა. ბერძნულად $\pi\iota\lambda\alpha\chi\alpha\rho\alpha$ ნიშნავს 'ძლიერს, ღონიერს' (კომპოზიტური წარმოების სიტყვაა: $\pi\iota\lambda\alpha$ 'ფრიად' + $\chi\alpha\rho\alpha$, || $\chi\alpha\rho\eta$ = 'ძალა, ღონე')². ეს სიტყვა ასეთი მნიშვნელობით, დღესაც ხმარებაში ყოფილა ხოფურ კილოში, როგორც ეს იბრ. თანდილავამ გვაცნობა.

მესამე სტრიქონის მესამე სიტყვა طونا — შეიძლება იყოს „თუნა“, რომელსაც 'უცხოობის, უცხოეთის, სხვა, შორეული ქვეყნის' მნიშვნელობა აქვს, როგორც ეს აღნიშნული აქვს ი. ყიფშიძეს: „სევდალი ბოზოქ ქართალი უნქარუ ბიჭის „თუნას“ და იქვე ფრჩხილებში „თუნა“, „კურბეთ“-ად აქვს განხარტებული, რაც არაბული طربت -ია და ზემომოტანილი მნიშვნელობა აქვს³.

„თუნა“ თურქულად მდინარე დუნაის სახელია და, შესაძლებელია, მას „შორეული ადგილის, უცხოეთის“ მნიშვნელობა ჰქონდეს, ისევე როგორც მეგრულში „ზიფუ“ (მდ. ბზიბი) ნიშნავს „შორეულ ადგილს“, „შორ მანძილს“.

მეორე მხრით ამხ. იბრ. თანდილავას აზრით „თუნა“-ს (طونا) წაკითხვა შეიძლება აგრეთვე 'ტუნა'-დ, სადაც „ტუ“ ნიშნავს „იყო“, ხოლო „ნა“, ნ. მარის განმარტებით, ნიშნავს „როდესაც, თუ“⁴; „ტუნა“ 'რომ იყო', 'თუ იყო', (მაგ., „მინონ ნა“ 'თუ მე მინდა').

მეოთხე სტრიქონის პირველი სიტყვა كبخا უნდა იყოს გადამწერის მიერ შერყენილი كبخ 'ქაფჩა' სიტყვა, რაც ქანურად 'ხამსას' თევზს ნიშნავს⁵. დიაკრიტული ნიშნების, ამ შემთხვევაში წერტილების, გადანაცვლების ნიადაგზე სიტყვათა დანახინჯება არაბულ დამწერლობაში ხშირად ხდება. როგორც ზემოთ აღინიშნა, ქაფჩა ძლიერ მიღებული თევზია ქანებში, იგი იხსენიება ზემოთ გარჩეულ თურქულ „ბაიათშიც“.

„ქაფჩას“ მომდევნო სიტყვაა يسا ; მისი წაკითხვა შეიძლება ასეც: 'ფაეს', რაც ამხ. იბრ. თანდილავას აზრით ნიშნავს: 'გაიყვეს', 'დაინაწილეს'. „ფა“ (სპ.), 'ნაწილი', 'ხვედრი', „ოფაუ“ — 'დანაწილება'. 'ფაეს, დოფაეს' — „ქაფჩა ფაეს“ — ხამსა 'დაინაწილეს, გაიყვეს'.

¹ Грамматика чанского (лазского) языка. გვ. 178. თურქული „დელიკანი“ < delikanlı ნიშნავს 'ვაჟაცს', 'მამაც ახალგაზრდას'.

² C. Alexandre, Dictionnaire grec-français. Paris, 1879, S. v.

³ ი. ყიფშიძე, ქანეთში მოგზაურობა. ენიშვის მოამბე, I, გვ. 163.

⁴ Грамматика чанского (лазского) языка... გვ. 172.

⁵ იქვე, გვ. 196. „ქაფჩა — излюбленная у лазов рыба «хамса», вроде сардинки или сюрсе кильки“...

საქს — სიტყვის შემდეგ გვაქვს طوخامو. ამ სიტყვაში იბრ. თანდილავან აზრით შეიძლება გამოიყოს طو „დო“ კავშირის მნიშვნელობით. მაშინ მთელი წინადადებაც გვექნება „ქაჟჩა ფაეს დო“ ‘ხამსა გაყვეს (დაინაწილეს) და’...

იბრ. თანდილავა ფიქრობს, რომ პირველი სტრიქონის მეორე სიტყვა ‘ზარილუნ’ შეიძლება გავიგოთ ასე: ‘ზორ ულუნ’. მართლაც, — ზორი زور სპარსული სიტყვაა, რომელიც ჭანურში იხმარება (იხ. ნ. მარის ლექსიკონი), ნიშნავს: ‘ძალა’, ‘სიძნელე’, ‘გაჭირვება’; ხოლო ‘ულუნ’ ჭანური ზმნაა და ნიშნავს ‘აქვს’. ამრიგად, „ზორ ულუნ“ — ‘სიძნელე აქვს’, ‘გაჭირვებულა’.

ლექსის სხვა სიტყვები გაურკვეველია. ლექსის საბოლოოდ გაგებისათვის საჭიროა იგი, ისევე როგორც ევლია ჩელების სხვა ქართველური ენობრივი თუ სხვა ხასიათის მასალები, შეეწამოს ჩელების ნაწარმოებთა იმ ხელნაწერებს, რომლებიც სტამბოლის სიძველეთსაცავებში ინახება. საერთოდ ე. ჩელების „მოგზაურობის წიგნის“ II ტომი იმდენად დიდ, მრავალფეროვან და მეცნიერულად საინტერესო მასალას შეიცავს, რომ მისი (II ტომის მაინც) მეცნიერული და სრული გამოცემა და ქართულად თარგმნა სარგებლობას მოუტანდა უთუოდ ჩვენი ქართველური ენებისა და ტომების კულტურის და ისტორიის საკითხებია შესწავლას. აქ ლაზური მასალაც მხოლოდ ნაწილობრივად არის წარმოდგენილი და მისი განხილვაც წინასწარი ხასიათისაა.

С. С. ДЖИКИЯ

ЭВЛИЯ ЧЕЛЕБИ О ЛАЗАХ И ЛАЗСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

В статье вкратце рассмотрены некоторые материалы о лазах и лазском языке, содержащиеся в известном сочинении турецкого путешественника-историка XVII в. Эвлия Челеби в «Сеяхнаме»¹.

1. Страна лазов именуется у Э. Челеби لازكه и لركي — греч. Λαζική, главным городом которой назван г. Трапезунд او صاف شهر عظيم و قلعة عمور قديم — «Описание великого города и благоустроенной крепости старого вилайета Лазики, т. е. города Трапезунда»². Далее приводятся несколько вариантов названия г. Трапезунда (в том числе и название شهر لركي = город Лазики) и дается попытка этимологизации этих названий.

2. Касаясь этнического состава г. Трапезунда (и окрестностей) Э. Челеби в центре внимания ставит лазов, как доминирующее племя страны اکثر خلقی لازدن مرکبدر — «большинство населения состоит из лазов»³.

¹ اوليا چلبی سياحتنامهسی. т. II, Стамбул, 1896—1897 гг.

² Там же, стр. 81.

³ Там же, стр. 84.

3. У Э. Челеби кое-где проскальзывают сведения и об отдельных родовых подразделениях лазов. В нескольких местах, говоря о лазах, он называет: *جميع خلقی چيچودر* 'все население [относится к племени] — Чичу, или же *جمله خلقی جغتایلاذر* 'все [здесь] население лазов [принадлежит к племени] — Джгетай'¹ и т. д.

4. Э. Челеби замечает фонетические особенности турецкой речи лазов. Он пытается передать эти особенности в турецкой же транскрипции. Заслуживают внимания: а) передача турецких звонких согласных b, d, c (ج) и z соответствующими глухими: *پالوق* (paluk) — *بالق* (balık) 'рыба', *اولوردی* (olurdu)² — *اولورتی* (olurtu), *پشیر* (Peşir) — *بشیر* (Beşir), *ختاویرتی* (hutaverti) — *خداویردی* (hudaverdi)³, *حاجی* (hacı) — *حاجی* (haçî), *چافر* (Çafer) — *جعفر* (Ca'fer), *فاسلی* (Fasli) — *فضلی* (Fadlı) и др.; б) переход турецкого h (ح, ه) в x (خ): *خالوموز* — *اللهقولى* — *الاخقولى* и др.⁴

5. Несомненный лингвистический интерес представляет и, первое по времени, записанное Э. Челеби лазское стихотворение в 4 строки. Несмотря на значительные искажения, не позволяющие, пока что, полностью разобраться в стихотворении, эта запись вносит определенную лепту в дело изучения истории лазского языка.

¹ *اولیا چلبی سیاحتنامہ سی*, II, Стамбул, 1896—1897. стр. 84.

² Э. Челеби, II, стр. 92.

³ Там же, стр. 84.

⁴ Там же, стр. 92.